სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულება №295/2017

ქ. თბილისი „ 04 " ოქტომბერი 2017 წ.

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **ფიზიკური პირი ბესიკ გუჯეჯიანი - პ/ნ 62006026788** (შემდგომში "მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს!" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები**

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „დღე", "კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „მომსახურება"– ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის, **საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურების** შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2.2. შესყიდული მომსახურება გულისხმობს სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის ავტომობილის (**Subaru სახ.# SL-412-SL**) ქირავნობა, სამსახურებრივი საჭიროებისათვის.

2.3. **CPV 60100000**

3. ხელშეკრულების ღირებულება და დაფინანსების წყარო

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **160 (ასსამოცი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით. (**ერთი დღის მომსახურება 3 ლარი და 40 თეთრი).**

3.2. ხელშეკრულება ფინანსდება სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამის „ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენთიფიკაცია-რეგისტრაცა"-ს ფარგლებში;

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია ავტომანქანა შეინარჩუნოს გამართულ მდგომარეობაში ქირავნობის მთელი პერიოდის განმავლობაში და დაიცვას იგი განადგურებისაგან.

4.3. შემსყიდველი პასუხს არ აგებს ავტომანქანის ცვლილების ან გაუარესებისთვის, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი სარგებლობით.

4.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.5. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ავტომანქანა **2017 წლის 19 ნოემბრამდე** .მიმწოდებელი ვალდებულია სააგენტოს წარმოუდგინოს საბანკო რეკვიზიტები უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელებისათვის.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელელებელი პირ(ებ)ი ქვემო ქართლის რეგიონალური სამმართველოს უფროსი მირანგულა ლიპარტელიანი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან განსაზღვრული პირ(ებ)ი;

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7. ანგარიშსწორება

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება **ყოველთვიურად** მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

7.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 20 დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. დავათა გადაწყვეტის წესი

მხარეები თანხმდებიან რომ ნებისმიერი დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

10.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.4. შემსყიდველის დაფინანსების წყაროს შემცირების ან დაგეგმილი შემოსავლების ნაკლები რაოდენობით მიღების შემთხვევაში (თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა გათვალისწინებული იყო ამ შემოსავლებიდან), შემყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

10.5. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. სხვა პირობები

11.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2017 წლის 31 დეკემბრამდე.**

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო	**ფიზიკური პირი** **ბესიკ გუჯეჯიანი**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის #6 სახელმწიფო ხაზინა ანგ.#200122900 კოდი: 220101222	პირადი #62006026788 **მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი“** **ბ.კ.-BAGAGE22** **ა.ა.-GE96BG0000000305150800** მისამართი: ***გალი, ს ჭუბურხინჯი***
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	_____ **ბესიკ გუჯეჯიანი**

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **ფ.პ ბესიკ გუჯეჯიანის** მიმართ ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

ვეტერინარიის დეპარტამენტი

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო